ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1928 წლის თებერვლის 16.	№ 3 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 25. საწარმოთა 1926-27 წლის საბიუჯეტო ანგარიშებისა და ბალანსების თავის დროზე წარდგენისა და განხილვის შესახებ.

„ 26. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მოქმედების გაძლიერების შესახებ არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთათვის სამუშაოს მიცემის საქმეში და მათთვის შრომითი და ნატურალური დახმარების გაწევის შესახებ.

„ 27. ა/კსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა მიერ შესაფარდებელ დანაზღთა და სხვა სახედმოქმედო ღონისძიებათა დროებითი დებულებისა და საფინანსო კონტროლის დებულების გაფუძმების შესახებ.

„ 28. შრომის კანონთა კოდექსისათვის 93¹ მუხლის დამატების შესახებ.

„ 29. ყოველგვარი ტვირთის დასატვირთავად და გადმოსატვირთავად სადგურსა და სადგურ შუა მანძილზე ვაგონების მიყენებისათვის ადგილობრივი ტარიფის შემოღების შესახებ და ა.კ. რკ. გზ. ზოგიერთ საქალაქო სადგურზე ტვირთის ბანგრძლივი შენახვისათვის სანიხრო გამოსაღების დაწესების შესახებ.

„ 30. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის მოვალეობისაგან ამხ. ს. ლ. ლუკაშინის განთავისუფლებისა და საბიუჯეტო კომისიის წევრად და თავმჯდომარედ ამხ. ა. მ. ნაზარეთიანის დანიშვნის შესახებ.

„ 31. ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობისგან ამხ. ი. პ. პავლუნოვსკის განთავისუფლებისა და ა/კ. სახელ. პოლ. სამმართველოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ი. კაულის დანიშვნის შესახებ.

„ 32. სამრეწველო საწარმოთა მუშა-ქალებისათვის საბავშვო ბაგათა მიერ გასაწევი მოსახერეობის გაძლიერების შესახებ.

„ 33. სამრეწველო და სასურსათო საქონლის ცალობითი ფასების გამოკიდვის შესახებ.

„ 34. შავიზღვის რკინის გზის სამხრეთ უბანზე ა/კ. რკ. გზების ადგილობრივი ტარიფების გავრცელების შესახებ: მე-2 (04) №-რისა—ღენის გადაზიდვისათვის და მე-11 (04) №-რისა დაფნის ფოთლის გადაზიდვისათვის.

„ 35. ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებისათვის მისაცემი ამერკავკასიის პრემიის შესახებ.

„ 36. შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხ. შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 37. სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ.
„ 38. დებულება ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საველტერინარო საქმის კომიტეტის შესახებ.
„ 39. სსრკ შორეული ადგილების ნუსხის შეცვლისა და დამატების შესახებ.
„ 40. ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხ. მე-4 შენიშვნის შეცვლის შესახებ.
„ 41. ბითუმურის სადგურიდან „საქართველოს შავიქყის“ საააქციო სახოგადოების საწყობებთან ვაგონების მიყენებისათვის დაწესებული ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფის შესახებ.
„ 42. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საჭიროებისათვის გადასახადი ქვეშის დამატებითი გამოსაღების შესახებ.

დადგენილება № 6 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

25. საწარმოთა 1926-27 საბიუჯეტო წლის ანგარიშებისა და ბალანსების თავის დროზე წარდგენისა და განხილვის შესახებ.

საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ საწარმოთა 1926-27 საბიუჯეტო წლის ანგარიშებისა და ბალანსების თავის დროზე წარდგენისა, განხილვისა და დამტკიცებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ საწარმოთა 1926-27 წლის ანგარიშებისა და ბალანსების საბოლოო დამტკიცების ვადად დაწესებულ იქნეს 1928 წ. მაისის 1-ლი.

2. ყველა საჯარო ანგარიშგება-ვალდებულმა საწარმომ უნდა წარუდგინოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული საჯარო ანგარიშგების წესებით (სსრკ კან. კრებ. 1926 წ. მე-60 №-რი, მუხ. 452) განსაზღვრულ ვადაზე, წლიური ანგარიშები და ბალანსები და ამ ანგარიშებისა და ბალანსების დანართები.

3. პასუხისმგებლობა საწარმოთა მიერ აღნიშნული ანგარიშებისა და დანართების თავის დროზე წერუდგენლობისათვის დაეკისროს საწარმოთა ადმინისტრაციას და მთავარ ბუხჰალტრებს.

4. მეთვალყურეობა საწარმოთა მიერ აღნიშნული მასალების თავის დროზე წარდგენისათვის დაეკისროს იმ უწყებათ, ვის გამგებლობაშიაც ეს საწარმონი არიან, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, კუთვნილებისამებრ.

5. მასალების თავის დროზე წარუდგენლობისათვის დამნაშაევთა პასუხისგებაში მიცემა დაეკისროს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს, კუთვნილისამებრ, რისთვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს სათანადო უწყებასა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს აცნობოს ხოლმე პერიოდულად მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ესა თუ ის შემთხვევა, როდესაც რომელიმე საწარმო არ შეასრულებს ანგარიშისა და ბალანსის წარდგენის ვადას.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განუმარტონ სათანადო ეკონომიურ თათბირებს, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ღონისძიებანი საბალანსო კამპანიის ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ვადაზე დამთავრებისათვის; ამასთანავე, ამ ვადაში უნდა შევიდეს ის დროც, რაც დასჭირდება ბალანსების მსვლელობას ეკონომიურ თათბირებში.

7. ყველა საჯარო ანგარიშგება-ვალდებული საწარმოს ბალანსი და ანგარიში განხილულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს საუწყებათაშორისო კომისიაში იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებებით: 1925 წ. აპრილის 2-სა (ა/კსუსრ კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 411), 1926 წ. მარტის 18-სა (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 618), 1926 წ. აპრილის 6-სა (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 644), 1927 წ. ოქტომბრის 20-სა (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-20 №-რი, მუხ. 231) და 1927 წ. დეკემბრის 1-სა (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 23 №-რი, მუხ. 246).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. იანვრის 31. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ ს 27 (1693) №-ში 1928 წ. თებერვლის 2-ს.

დადგენილება № 4 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. იანვრის 18.

26. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მოქმედების გაძლიერების შესახებ არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთათვის სამუშაოს მიცემის საქმეში და მათთვის შრომითი და ნატურალური დახმარების გაწევის შესახებ.

რათა შემსუბუქებულ იქნეს უმუშევრობა მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და ფლოტიდან განთავისუფლებულთა და სამწყობრო და საკომანდო შედგენილობის პირთა შორის და გაძლიერებულ იქნეს შრომისა და სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაობა იმ მოქმედ კანონდებულებათა მტკიცედ და ურყევად განხორციელებისათვის, რომლებითაც არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთ შრომის სფეროში შეღავათები ეძლევათ,—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა, მეუფროსეთა შედგენილობის განწესებელ კომისიებთან (მთავრობის) ერთად, უნდა აწარმოონ მუშაობა არმიიდან დემობილიზაციით განთავისუფლებული მეუფროსეთა შედგენილობის პირების განმწესებისათვის, თანახმად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 14-ს დადგენილებისა „მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და ფლოტიდან სათადარიგოდ, გრძელვადიან შვებულებაში და სრულიად სამსახურიდან დათხოვნილი მეუფროსეთა შედგენილობის პირებისათვის სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოში თანამდებობის მიცემის წესის შესახებ“ და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ცენტრალური კომისიის 1927 წ. თებერვლის 14-ს ინსტრუქციისა—სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების შეფარდების შესახებ.

რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა, მთავრობის კომისიებთან ერთად, წინასწარ უნდა შეამოწმონ ფაქტები: ნამდვილად შევსებულია, თუ არა, დაწესებულების მიერ მეუფროსეთა შედგენილობისათვის 3 პროცენტის ფარგლში მიკუთვნებული ყველა თანამდებობა. აღმოჩენილ თავისუფალ თანამდებობაზე პირველ რიგში გაგზავნილ უნდა იქნენ არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით წარსულ 1927 წელს განთავისუფლებული მეუფროსეთა შედგენილობის პირნი, უკეთუ 1926 წ. სექტემბრის 14-ს შემდეგ დემობილიზაციით განთავისუფლებული და მთავრობის სათანადო კომისიების აღნუსხვაზე მყოფი პირნი მეუფროსეთა შედგენილობისა უკვე მთლად განწესებულ არიან სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ცენტრალური კომისიის 1927 თებერვლის 14-ს ინსტრუქციის მე-2 მუხ. თანახმად.

2) მეუფროსეთა შედგენილობის ყველა ის პირი, რომლის სამუშაოზე გაგზავნაც მთავრების განმწესებელი კომისიების მიერ ახლო ხანში მოსალოდნელი არ არის, მიღებულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის საშუამავლო ორგანოების აღნუსხვაზე და, უკეთუ სათანადო კვალიფიკაციის მუშა-ძალზე მოთხოვნილება იქნება, აღნიშნული მეუფროსეთა შედგენილობის პირნი გაგზავნილ იქნენ სამუშაოზე პირველ რიგში პროფესიონალური კავშირების წევრთა თანაბრად.

3) შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა უნდა აწარმოონ ყველა, მობილიზაციით არმიაში გაწვევის გამო, განთავისუფლებული ადგილის ზედმიწევნითი აღნუსხვა და მიიღონ ღონისძიება, რომ ეს ადგილები შევსებულ იქნეს არმიიდან დემობილიზაციით განთავისუფლებული პირებით სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთათვის შრომის სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ“ 1925 წ. მაისის 29-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 82 მუხლის „ა“ პუნ. თანახმად.

4) შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა უნდა დაამყარონ მტკიცე მეთვალყურეობა, რათა განხორციელებულ იქნეს სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს მიერ „მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და ფლოტიდან დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობილიზაციით განთავისუფლებულთათვის შრომის სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ“ 1925 წ. მაისის 29-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 82 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები, რითაც გათვალისწინებულია მეკარისა, მეეზოვისა, ღუმელის გამხურებლისა, მეეტლისა, შოფერისა, მისი თანაშემწისა, მოტოციკლისტისა და ველოსიპედისტის თანამდებობისა, ავრეთვე მილიციის ორგანოებისა, საფინანსო დაწესებულებების დაცვის ორგანოებისა, რკინისგზებისა და წყალსავალი გზების ორგანოებისა, სახანძარო რაზმებისა და საპატიმრო ადგილების ყველა თანამდებობის შევსების სავალდებულო წესი.

5) მიღებულ იქნეს ღონისძიებანი, რათა შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ უმუშევართა გადაკვალიფიკაციისათვის მოწყობილ და მოსაწყობ სპეციალურ კოლექტივებში ან კურსებზე მაქსიმალური მონაწილეობა მიიღონ მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულმა როგორც სამწყობრო, ისე მეუფროსეთა შედგენილობის პირებმა.

6) ქალაქებში მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაბმულ იქნეს, რამდენადაც კი შეიძლება, ყველა ის დემობილიზაციით განთავისუფლებული, რომელსაც იმედი არა აქვს ახლო ხანში სამუშაო მიიღოს.

7) სამაზრო ქალაქებსა და სოფლად მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშაოებში ფართოდ იქნენ ჩაბმულნი არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულნი.

8) უფლება მიეცეს არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულ პირთ, პროფესიონალურ კავშირთა წევრების თანაბრად, ისარგებლონ დახმარება ნატურით (ღამის გასათევი სახლი, საჩაიე, სასადილო, უფასო და შეღავათიანი სადილი).

9) ამა ცირკულიარში აღნიშნულ კანონდებულებათა დარღვევისათვის შრომის სახალხო ორგანოებმა ფართო პრაქტიკად უნდა შემოიღონ დამნაშავის სამართალში მიცემა, როგორც შრომის მომქმედ კანონმდებლობის დარღვევისათვის.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 27 (1694) №-ში 1928 წ. თებერვლის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

27. ა/კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა მიერ შესაფარდებელ დანაზღთა და სხვა საზედმოქმედო ღონისძიებათა დროებითი დებულებისა და საფინანსო კონტროლის დებულების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს: „დროებითი დებულება ა/კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა მიერ შესაფარდებელ დანაზღთა და სხვა საზედმოქმედო ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე 3 №-რი, მუხ. 612) და „დებულება საფინანსო კონტროლის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 632).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. იანვრის 30. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 29 (1695) №-ში 1927 წ. თებერვლის 4-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

28. შრომის კანონთა კოდექსისათვის 93[1] მუხლის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომის კანონთა კოდექსს (ა/კსსრფკ კან. კრ. 1923 წ. მე-7 №-რი, მუხ. 89) დაემატოს 93[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„93[1]. საქირავნო შრომის გამოყენების გამო აღძრულ დავაზე გავრცელდება საერთო-სამოქალაქო სამი წლის ხანდაზმულობა. სარჩელის ხანდაზმულობა თანამდებობაზე აღდგენის საქმის გამო და ზედმეტი სამუშაოსათვის გასამრჯელოს მიცემის საქმის გამო განისაზღვრება ექვსი თვის ვადით იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშვა სარჩელის აღძვრის უფლება“.

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. იანვრის 30. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 29 (1695) №-ში 1928 წ. თებერვლის 4-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

29. ყოველგვარი ტვირთის დასატვირთავად და გადმოსატვირთავად სადგურსა და სადგურ შუა მანძილზე ვაგონების მიყენებისათვის ადგილობრივი ტარიფის შემოღების შესაღებ და ა/კ. რკ. გზ. ზოგიერთ საქალაქო სადგურზე ტვირთის ხანგრძლივი შენახვისათვის გამოსაღების ნიხრის დაწესების შესახებ.

ყოველგვარი ტვირთის დასატვირთავად და გადმოსატვირთავად სადგურსა და სადგურ შუა მანძილზე ვაგონების მიყენებისათვის ადგილობრივი ტარიფის შემოღების შესახებ.

ყოველგვარი ტვირთის დასატვირთავად და გადმოსატვირთავად სადგურსა და სადგურ შუა გადასარბენზე ვაგონების მიყენებისათვის, უკეთუ თვითეული ასეთი მიყენება ვაგონებისა ნებადართული იქნება ა/კ. რკ. გზ. საექსპლოატაციო განყოფილების მიერ, ამა დადგენილებით დაწესებულია ა/კ. რკ. გზ. შემდეგი ადგილობრივი ტარიფი:

1. გადასარბენზე მიყენებისათვის ვაგონების მომზადება (შედგენილობიდან ვაგონის მოხსნა და სადგურის ჩიხიდან ან ლიანდაგიდან გამოგდება, თავისუფალ ლიანდაგზე დაყენება და ორთქლმავლისათვის გასწრება და სხვ.), იმ ვარაუდით, რომ ამ მუშაობას დასჭირდება 15 წამი,—1 მან. და 42 კაპ. თითო მიყენებაზე.

2. ორთქლმავლის გადასარბენზე მუშაობა—1 მან. და 50 კ. ორთქლმავალ-კილომეტრზე.

3. ვაგონის სრბოლა—0 მან. და 03 კაპ. ვაგონ-კილომეტრზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ორთქლმავლის მოცდენა შედგენილობის დატვირთვისა ან გადმოტვირთვის მოლოდინში, ვარაუდით ერთ საათს—5 მან. და 66 კაპ.

5. ორთქლმავლის უკუ-რეისი—1 მან. და 50 კაპ.—ორთქლმ.-კილომ.

6. ვაგონის უკუ-რეისი—0 მან. და 03 კაპ.—ვაგ.-კილომ.

7. სადგურზე მინასრბოლი ვაგონების სადგომელ გზაზე დაყენება ან მატარებელზე მიბმა, იმ ვარაუდით, რომ ამ მუშაობას დასჭირდება 15 წამი,—1 მან. და 42 კაპ. თითო მიყენებაზე.

8. უკეთუ ვაგონები მიყენებული იქნება გამვლელი მატარებლის ორთქლმავლით, მიყენების ხარჯს მიემატება მატარებლის შედგენილობის მოცდენისათვის ორთქლმავლის სრბოლის თითო კილომეტრზე—0 მან. და 25 კაპ. და აგრეთვე ორთქლმავლის გადასარბენზე მოცდენის ფასი—5 კილომეტრის ვარაუდით საათში.

9. უკეთუ მიყენების სადგურზე ორთქლმავალი არ არის და იგი გამოთხოვილ იქნა უახლოეს სადგურიდან, სასყიდელი გადახდილ უნდა იქნეს აგრეთვე ორთქლმავლის სრბოლისათვის წინაუკოდ—1 მან. 50 კ. ორთქლმავალ-კილომეტრზე.

შენიშვნა. ტარიფი ესე გაერცელდება იმ მანძილზედაც, რაც მთავარ ხაზსა და კერძო სარგებლობის მისავალი გზის მიმდგომ პუნქტამდე იქნება, უკეთუ მისავალი გზა მთავარ ხაზს სადგურსა და სადგურ შუა გადასარბენზე უერთდება.

ტარიფი ესე დაწესებულია 1928 წლის ოქტომბრის 1-დე და სამოქმედოდ შემოიღება 30 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან.

ა/კ. რკ. გზ. ზოგიერთ საქალაქო სადგურზე ტვირთის ხანგრძლივი შენახვისათვის გამოსაღების ნიხრის დაწესების შესახებ.

ა/კ. რკ. გზ. შემდეგ საქალაქო სადგურებზე: ბაქო-ქალაქი (501), ბათუმ-ქალაქი (502), ბორჯომ-ქალაქი (522), განჯა-ქალაქი (503), ზუგდიდ-ქალაქი (505) ქუთაის-ქალაქი (506), ლენინაკან-ქალაქი (518), ტფილის-ქალაქი (510), ხაჩმასქალაქი (513), წნორისწყალ-ქალაქი (519) და ერევან-ქალაქი (514) ამა დადგენილებით დაწესებულია ხანგრძლივი შენახვის ოპერაციებისათვის გადასახდევინებელი გამოსაღების შემდეგი რაოდენობა:

1. ტვირთის აწონა საწყობში მიღების დროს—საერთო ტარიფით.

2. ტვირთის აწონა საწყობიდან გამოშვების დროს ტვირთის მიმღების მოთხოვნით—საერთო ტარიფით.

3. ტვირთის დატვირთვა, გადმოტვირთვა, ჭაპანხიდვის საშუალებით გადახიდვა და მიტანა საწყობში და საწყობიდან—თვითღირებულების რაოდენობით, რასაც დაერთვის საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად: სახელმწიფო ორგანოსა და კოოპერაციისათვის—10%, ხოლო კერძო პირისათვის—15%.

4. ტვირთის ერთი ტომრიდან მეორეში ჩაცლა, შეკვრით ან გაკერვით, ტარას შეკეთება, ჩაფუთვა, გაშრობა, გამომზევება და ნიჩბით აბღერტვა:—თვითღირებულების რაოდენობით, რასაც დაერთვის საორგანიზაციო ხარჯების და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფარავად: სახელმწიფო ორგანოსა და კოოპერაციისათვის — 10%, ხოლო კერძო პირისათვის — 15%.

5. ყოველგვარი პურეული ტვირთისა (ჯგუფი 22, 52, 68, 100 და 117), მცენარეულობის თესლისა (ჯგ. 106) და წეწონის (21 ჯგუფიდან) შენახვა დღედაღამის განმავლობაში—ტონნაზე 3 კაპ. სახელმწიფო ოროგანოსა და კოოპერაციისათვის და 4 კაპ. კერძო პირისათვის.

6. ყოველგვარი ტვირთის შენახვა ტარაში: 6 კაპ.—სახელმწიფო ორგანოს და კოოპერაციისათვის და 8 კაპ.—კერძო პირისათვის.

შენიშვნა 1. შენახვის ანგარიში გასწორებულ უნდა იქნეს 15 დღედაღამისათვის; ამასთანავე თვითეული არასრული 15 დღედაღამე სრულ 15 დღედაღამედ ითვლება და თვითეული სასაწყობო კვიტანციით გადახდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. დანიშნულ იქნეს ამხ. ამაიაკ მარქარას-ძე ნაზარეთიანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის წევრად და თავმჯდომარედ.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. თებერვლის 6. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 33 (1699) №-ში 1928 წ. თებერვლის 9-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

31. ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ი. პ. პავლუნოვსკის განთავისუფლებისა და ა/კ. სახელ. პოლიტ. სამმართველოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ი. კაულის დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. რადგანაც ამხ. ივანე პეტრეს-ძე პავლუნოვსკი სსრკ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სამხედრო-საზღვაო ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა, განთავისუფლებულ იქნეს იგი, ამხ. პავლუნოვსკი, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

II. ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნეს ამხ. ალექსანდრე იოსების-ძე კაული.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. თებერვლის 6. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ."-ს 33 (1699) №-ში 1928 წ. თებერვლის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

32. სამრეწველო საწარმოთა მუშა-ქალებისათვის საბავშვო ბაგათა მიერ გასაწევი მომსახურეობის გაძლიერების შესახებ.

წარმოებაში მომუშავე მუშა-ქალთა დამხმარე სბავშვო ბაგათა ორგანიზაციის გაფართოებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წარმოებაში მომუშავე მუშა-ქალთა დამხმარე სბავშვო ბაგათა მოსაწყობად და შესანახად მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის საკულტურო-საყოფცხოვრებო ნაწილიდან გადარიცხულ იქნეს ხუთიდან ათ პროცენტამდე.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ანარიცხის ზედმიწევნითი რაოდენობას განსაზღვრავს დაწესებულებისა, ტრესტისა და საწარმოს ადმინისტრაცია, სათანადო პროფესიონალურ ოგანიზაციასთან შეთანხმებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. თებერვლის 6. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 33 (1699) №-ში 1928 წ. თებერვლის 9-ს.

დადგენილება № 1 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწველო და სასურ. საქ. სამმართველო)

1928 წ. თებერვლის 7.

33. სამრეწველო და სასურსათო საქონლის ცალობითი ფასების გამოკიდვის შესახებ.

სამრეწველო და სასურსათო საქონლის ცალობითი ფასების შემოწმების გასაადვილებლად ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიულ ორგანიზაციას, აგრეთვე კერძო მოვაჭრეს, რომელიც-კი ა/კსფსრ ფარგლებში ცალობითი ვაჭრობას ეწევა, აღნიშნოს ხოლმე ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ან მისი რწმუნებულის (ადგილებზე) მიერ დანორმილ ყველა საქონელზე ცალობითი საგასაცემო ფასები —ამ ფასების საქონელზე დაწებებით ან განსაკუთრებული იარლიკის გამოკიდვით.

2. ყველა სხვა საქონლის ცალობითი ფასების აღნიშვნა უნდა სწარმოებდეს ამა დადგენილების 1-ლი მუხ. გათვალისწინებული წესით, უკეთუ დაუნორმავი საქონელი გამოფენილი იქნება ვიტრინაში.

3. ცალობითი ფასი აღნიშნულ უნდა იქნეს ზომა-წონის ერთეულისათვის მარტოოდენ მეტრული ზომა-წონის მიხედვით.

4. ფასის 400 გრ.ამდად განსაზღვრა და გამოკიდვა აიკრძალოს.

5. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

6. ამა დადგენილების დარღვევისთვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრ. და სასურ. საქონ. სამმართველოს
უფროსის მოადგილე **მერკუროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 33 (1699)) №-ში 1928 წ. თებერვლის 9-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

34. შავიზღვის რკინისგზის სამხრეთ უბანზე ა/კ. რკ. გზების ადგილობრივი ტარიფების გავრცელების შესახებ: მე-2 (04) №-ისა—ღვინის გადაზიდვისათვის და მე-11 (04) №-ისა—დაფნის ფოთლის გადაზიდვისათვის.

ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფები: მე-2 (04) №-ისა—ღვინის გადაზიდვისათვის და მე-11 (04) №-ისა—დაფნის ფოთლის გაზადვისათვის, რომელი ტარიფებიც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 94 და 484 №-ში და ტარიფების კრებულის 126 (1098), 171 (1783) და 150 (1417) №-ში, ამა დადგენილებით გავრცელებულია შავიზღვის რკინისგზის სამხრეთ უბანზე და შეფარდებულ უნდა იქნეს აღნიშნული ტვირთის გადაზიდვისათვის შავიზღვის რკინისგზის სამხრეთ უბანში სამჯერ გადიდებული რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/კ. რკ. გზ. ეს ადგილობრივი ტარიფები შემოიღება შავიზღვის რკინის გზის სამხრეთ უბანში 7 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან ექვსი თვის ვადით.

ა/კ. რკ. გზ გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბ. თავმჯ. მოადგილე **ა. მ. ლევაშევი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი, უფროსი ეკონომისტი **ა. მ. ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 33 (1699) №-ში 1928 წ. თებერვ.ლის 9-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

35. ლიტერატურულ-მხატრული ნაწარმოებისათვის მისაცემი ამიერკავკასიის პრემიის შესახებ.

ოქტომბრის რევოლიუციის ათის წლის აღსანიშნავად და მის კულტურულ მიღწევათა რაც შეიძლება სისრულით გამოსაამჟარავებლად და განსამტკიცებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, ქვემოაღნიშნული პირობების მიხედვით, ყოველწლივ პრემიის მიცემა საუკეთესო ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებისათვის.

2. პრემია შეიძლება მიეცეს ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებს, რომელი ერის ენაზედაც უნდა იყოს იგი დაწერილი სსრ კავშირში მობინადრე ერთა შორის.

3. პრემიის მისაღებად წარდგენილი ნაწარმოების თემა უნდა შეეხებოდეს რევოლიუციის შემდგომ დროს ან უნდა იყოს რევოლიუციონურ-ისტორიული.

შენიშვნა. იმ ნაწარმოებთა გარდა, რომელთა ავტორნიც მუდმივ ა/კსფსრ-ში სცხოვრობენ, სხვა დანარჩენი ნაწარმოების თემა დაკავშირებული უნდა იყოს ამიერკავკასიის ცხოვრების ამა თუ იმ მხარესთან.

4. პრემიის მისაღებად წარდგენილი ნაწარმოების სივრცე უნდა იყოს არა ნაკლებ: 1000 სტრიქონისა—პოეტური ნაწარმოებისათვის, სამი მოქმედებისა—დრამატიული ნაწარმოებისათვის და 5 ნაბეჭდი თაბახისა—დანარჩენი სხვა ნაწარმოებისათვის.

5. პრემია შეიძლება მიიღოს ლიტერატურულ-მხატვრულმა ნაწარმოებმა, როგორც ჯერ კიდევ დაუბეჭდავმა საპრემიო წლის დასრულების მომენტისათვის და ხელნაწერის სახით წარდგენილმა, ისე საპრემიო წლის განმავლობაში ამა თუ იმ ჟურნალში ან ცალკე გამოცემად დაბეჭდილმა სსრკ-ის ფარგლებში.

6. პრემიის მისაღებად გასაგზავნი ნაწარმოები უნდა გაეგზავნოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმსრულებელი კომიტეტის სეკრეტარიატს სათანადო წარწერით.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ა/კსფსრ ფარგლების გარეშე დაბეჭდილი ნაწარმოები წარდგენილ უნდა იქნეს, შეძლებისდაგვარად, რამდენსამე ცალად.

7. პრემია დაწესდება შემდეგი სამი რაოდენობი:

1-ლი	2.000 მან.
მე-2 (ორი, თითო)	1.000 მან.
მე-3 (სამი, თითო)	500 მან.

8. პრემიების მისაცემად ერთდროულად გადაიდება 10.000 მან.

შენიშვნა. უკეთუ საპრემიო წლის განმავლობაში ყველა პრემია არ გაიცა, გამოუყენებელი თანხა გადაერტანება შემდეგი წლისათვის. უკეთუ ყველა პრემიის გასაცემად საკმარისი თანხა არ იქნება, იგი შეივსება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახსარით.

9. პრემია დაინიშნება ჟიურის გადაწყეტილებით. ჟიურის ყოველწლივ დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი 15 კომპეტენტური პირის შედგენილობით. ჟიურის წევრთა სია გამოქვეყნდება საპრემიო წლის დამლეგში. ჟიურის მუშაობის შედეგი გამოცხადებულ იქნება არა უგვიანეს სამი თვისა საპრემიო წლის დასასრულდან.

10. საპრემიო წელიწადი განისაზღვრება ნოემბრის 7-დან ნოემბრის 6-დე—ამრიცხვითურთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. თებერვლის 6. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 34 (1700) №-ში 1928 წ. თებერვლის 10-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

363. შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხ. შეცვლის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, რომლითაც სამოქმედოდ შემოღებულია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 9-ს დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 65 №-რი, მუხ. 659) „სხვა ადგილას გადაყვანისა და სხვა ადგილის სამუშაოზე დაქირავებისათვის მისაცემი კომპენსაციის შესახებ“,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვლილ იქნეს შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხლი და დაემატოს ამ კოდექსს 82^1—82^5 მუხლები შემდეგი რედაქციისა:

მუხ. 82. დამქირავებლის განკარგულებით სხვა ადგილას სამუშაოზე გადაყვანილ მუშასა და მოსამსახურეს, უკეთუ ეს გადაყვანა დაკავშირებულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის აუცილებლობასთან, დამქირავებელი მისცემს კომპენსაციას შემდეგ მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.

იმ მუშასა და მოსამსახურეს, რომელიც გადაყვანილ იქნება სამუშაოზე სხვა ადგილას მისივე თხოვნით, ან ახლად იქნება დაქირავებული სხვა ადგილისათვის, ქვემოდ ჩამოთვლილი მუხლებით გათვალისწინებული კომპენსაცია არ მიეცემა.

შენიშვნა. 1. ამა მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია არ გავრცელდება სხვა ადგილას სამუშაოზე გადაყვანისა ან ახლად დაქირავების ისეთ შემთხვევებზე, რაც მოწესრიგებულია სპეციალური კანონებით, აგრეთვე შეგირდებზე, პრაქტიკანტებზე და სტაჟერებზე, რომელთა გადაყვანგადმოყვანის პირობები სამუშაოზე სხვა ადგილას წარმართვის დროს განსაზღვრულია სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისრების ინტრუქციებით, რასაც ისინი გამოსცემენ ხოლმე სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო უწყებებთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2. დამქირავებლის განკარგულებით ერთსა და იმავე დასახლებული პუნქტის ფარგალში (ქალაქისა ან სოფლისა) ან დასახლებული პუნქტის ფარგლიდან არა უმეტეს 25 კილომეტრის მანძილზე გადაყვანილ პირს კომპენსაცია არ მიეცემა და მხოლოდ აენაზღაურება საგზაო და საოჯახო ქონების გადასაზიდი ნამდვილი ხარჯი.

შენიშვნა 3. ამა მუხლის მეორე ნაწილში მოხსენებულ მუშასა და მოსამსახურეს, დაქირავებელთან შეთანხმებით, შეიძლება აენაზღაუროს სრულად ან ნაწილობრივ საგზაო და საოჯახო ქონების გადასაზიდი ნამდვილი ხარჯი.

82^1. 82 მუხლის პირველ ნაწილში მოხსენებულ მუშასა და მოსამსახურეს მიეცემა: ა) თვით გადაყვანილისა და მისი ოჯახის წევრების გზის ხარჯი (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც თვით დამქირავებელი მისცემს მიმოსვლის საშუალებას): 1) რკინის გზით—მაგარი ვაგონის ბილეთის ღირებულება და პლაცკარტი, ხოლო, უკეთუ გზა ერთ დღედაღამეზე მეტ ხანს გაგრძელდება, მხარეთა შეთანხმებით, ხედმეტი ფასი სპ. წრაფისათვის; 2) წყალსავალი გზით—მე-2 კლასის ტარიფის ღირებულება; 3) გზატკეცილით და შარაგზით—ადგილობრივი მიმოსვლის ღირებულება, რაც დამოწმებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ; ბ) იმ საოჯახო ქონების გადაზიდვის ღირებულება, რაც საჭირო იქნება ახალ ადგილზე მოსაწყობად, დამქირავებელთან შეთანხმებულ ფარგალში, საერთოდ-კი არა უმეტეს 240 კილოგრამმისა თვით გადაყვანილ პირზე და 80 კილოგრამმისა ოჯახის თვითეულ წევრზე, რომელიც გადაყვანილ პირთან ერთად გადადის; გ) დღიური სარგო გადაყვანილ პირს გზაში ყოფნის დროს და დაპატების კიდევ 6 დღისა—მისი წინანდელი ადგილის ფაქტიური თვიური სამუშაო საშოვრის $^1/_{30}$ რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ 2 მან. და 50 კაპ. და არა უმეტეს 10 მანეთისა დღეში; ამასთანავე, გზად

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

გასვლის დღე და ახალ ადგილას მისვლის დღე გზაში ყოფნის ერთ დღედ ჩაითვლება: დ) ერთდროული დახმარება გადაყვანილის წინანდელი ადგილის ფაქტიური თვიური სამუშაო საშოვრის რაოდენობით, რასაც გადაყვანის მომენტში იღებდა, ხოლო, უკეთუ მასთან ერთად ოჯახის წევრებიც გადადიან, აგრეთვე ერთდროული დახმარება თვით გადაყვანილი პირისათვის მისაცემი დახმარების $^1/_4$ რაოდენობით ოჯახის თვითეულ წევრზე.

შენიშვნა 1. ერთდროული დახმარება ოჯახის წევრისათვის გაიცემა, უკეთუ ოჯახი ფაქტიურად გადასახლდა გადაყვანილი პირის ახალ სამყოფელ სადგილს ერთი წლის გასვლამდე დდიდან გადაყვანისა. უკეთუ დამქირავებელის განკარგულებით გადაყვანილი პირი, ოჯახის წევრთა მასთან გადასვლამდე, კელავ იქნა სადმე გადაყვანილი, ერთი წლის ვადა ოჯახის წევრთა გადასვლისათვის დამქირავებლის ხარჯით ითვლება ახალი გადაყვანის მომენტიდან.

შენიშვნა 2. ერთდროული დახმარება არ გაიცემა იმ შემთხვევაში, უკეთუ დამქირავებელი იკისრებს ყველა იმ ხარჯს, რაც საჭირო იქნება გადაყვანილი პირისა და მისი ოჯახის წევრების გადასვლისათვის და მთელი ქონების გადაზიდვისათვის და, აგრეთვე, უკეთუ იგი უზრუნველჰყოფს გადაყვანილს ბინით.

82². 82¹ მუხლით გათვალისწინებულ სასყიდელთა გაღების დროს მხედველობაში მიიღებიან მეუღლე, შვილი და მშობლები, რომლებიც გადაყვანილის რჩენაზე არიან და მასთან სცხოვრობენ.

82³. უკეთუ გადაყვანილი პირი, დამქირავებლის დაუთანხმებლად, მიატოვებს სამუშაოს გადაყვანის დროს შეპირებულ ვადამდე, იგი მოვალეა დაბრუნოს თავისთვის და თავისი ოჯახის წევრებისათვის მიღებული ერთდროული დახმარება.

უკეთუ გადაყვანილი პირი თავისი ბრალით არ მივა სამუშაო ადგილას ან უარს იტყვის მუშაობის დაწყებაზე, იგი მოვალეა დაბრუნოს სრულად ის თანხა, რაც დაქირავებულმა მას გადაყვანის გამო მისცა.

82⁴. უკეთუ ესა თუ ის პირი გადაყვანილია განსაზღვრული ვადით ან განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ხნით, 82¹ მუხ. დაწესებული სასყიდლის ნაცვლად, გადაყვანილ პირს უნდა აენაზღაუროს გზისა და საოჯახო ქონების გადაზიდვის ნამდვილი ხარჯი და აგრეთვე ის ზედმეტი ხარჯი, რასაც გამოიწვევს ახალ ადგილზე დროებითი ცხოვრება და რაც განსაზღვრული იქნება მხარეთა შეთანხმებით.

უკეთუ შეუძლებელია წინასწარვე ზედმიწევნით განისაზღვროს ის სასყიდელი, რაც გადაყვანილს ერგება, მას მიეცემა საჭირო ავანსი.

ავანსი გადაყვანილი პირის ოჯახის წევრებისათვის გაცემულ უნდა იქნეს მათი ფაქტიური გადასვლის მომენტისათვის.

82⁵. წინა—82¹, 82², 82³ და 82⁴—მუხლებით დაწესებული ნორმები შეიძლება გადიდებულ იქნეს, მხარეთა შეთანხმებით, კერძო საწარმოში და მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობაში სხვა ადგილას სამუშაოზე გადაყვანილ და ახლად დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. იანვრის 16. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ."-ს 34 (1700) №-ში 1928 წ. თებერვლის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

37. სააქციონერო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის აგვისტოს 17-ს დადგენილების თანახმად, რომლითაც დამტკიცებულია დებულება სააქციონერო საზოგადოებათა შესახებ, და „სააქციონერო საზოგადოებათა დებულების" საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 49 № რი, მუხ. 499 და 500), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

1. იმ სააქციონერო საზოგადოების წესდება,—რომლის გამგეობაც ა/კსფსრ ტერიტორიაზეა და რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ა/კსფსრ სახელმწიფო დაწესებულებანი, ან ისეთი საწარმო და ორგანიზაცია, რომლის წესდებაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ორგანოების მიერ, ან და რომელიაც მონაწილეობას იღებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ორი ან სამი რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები,—დამტკიცებულ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

ა) სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების წესდება—ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიურ საბჭოს მიერ;

ბ) საკრედიტო სააქციონერო საზოგადოების წესდება—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ;

გ) ამა მუხლში აღნიშნული სხვა სააქციონერო საზოგადოების წესდება—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ.

2. იმ სააქციონერო საზოგადოების წესდება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთი რომელიმე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, და რომლის გამგეობაც უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, დამტკიცებულ უნდა იქნეს:

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების წესდება—სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ;

ბ) საკრედიტო სააქციონერო საზოგადოების წესდება—სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ;

გ) დანარჩენი სხვა სააქციონერო საზოგადოების წესდება—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულის მიერ;

3. იმ სამშენებლო და საკრედიტო სააქციონერო საზოგადოების წესდება, რომლის მოქმედების რაიონიც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთი რომელიმე რესპუბლიკის ფარგალს სცილდება, დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ—კუთვნილებისამებრ.

4. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ან მისი რწმუნებული, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამა თუ იმ წესდების იმ ნაწილს, რაც საზოგადოების კაპიტალებს ეხება, დაამტკიცებს სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო ამა თუ იმ წესდების იმ ნაწილს, რაც საზოგადოების კაპიტალებს ეხება, დაამტკიცებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინასწარი დასკვნის შემდეგ.

5. 1-ლი მუხ. „ბ“ და „გ“ და მე-2 მუხლში აღნიშნულ სააქციონერო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წინ გამოთხოვილ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგინილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის—კუთვნილებისამებრ—წინასწარი ნებართვა საზოგადოების დაარსებისათვის.

შუამდგომლობა საზოგადოების დაარსებისთვის ნებართვის მიცემის შესახებ დამფუძნებლების მიერ შეტანილ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ან სათანადო სახალხო კომისარიატში (მუხ. 1—3) წესდების პროექტთან ერთად; ამ შუამდგომლობას სათანადო სახალხო კომისარიატი წარუდგენს თავისი დასკვნითურთ ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ან სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირს.

ზემოხსენებულ შუამდგომლობაში აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) დასაარსებელი საზოგადოების საფირმო სახელწოდება;

ბ) მისი მოქმედების საგანი;

გ) საწესდებო კაპიტალის რაოდენობა და დაფარვის ვადები;

დ) აქციების პირველდებული ფასი და მათი განაწილების ვარაუდი;

ე) საზოგადოების გამგეობის სამყოფელი ადგილი;

ვ) დამფუძნებელთა სახელწოდება; სათანადო შემთხვევაში მათი მოქალაქეობა;

ზ) მომქმედი კანონმდებლობის გამონაკლისი, უკეთუ ეს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულია.

შენიშვნა. უკეთუ დასაარსებელი სააქციონერო საზოგადოების მოქმედების საგანი ერთსადაიმავე დროს შედის ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, ან ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების მე-2 მუხლში ჩამოთვლილი ორგანოების გამგებლობაში, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის სათანადო დადგენილებაში საზოგადოების დაარსებისათვის ნებართვის მიცემის შესახებ აღნიშნულ უნდა იქნეს—ამ ორგანოთა შორის რომელს დაეკისრა წესდების დამტკიცება.

6. სააქციონერო საზოგადოების წესდება, დამტკიცებამდე, შეთანხმებულ უნდა იქნეს დაინტერესებულ უწყებასთან.

7. წესდების ის მუხლი, რაც სცილდება ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას, დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან სახალხო კომისართა საბჭოს მიერ; ხოლო წესდების ის მუხლი, რაც სცილდება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის დადგენილებას, დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ან სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ—კუთვნილებისამებრ.

8. სააქციონერო საზოგადოების წესდების ცვლილება დამტკიცებულ უნდა იქნეს იმ ორგანოს მიერ, რომელსაც, ამა დადგენილების თანახმად, უნდა დამტკიცებინა სმზოგადოების წესდება განზრახული ცვლილებითურთ.

9. წესდების დამტკიცებისას, იმ ორგანომ, რომელმაც იგი დაამტკიცა, უნდა აცნობოს ეს დამფუძნებლებს, მისცეს მათ წესდების შემოწმებული ასლი და მოახდინოს მათ ხარჯზე პუბლიკაცია წესდების დამტკიცების შესახებ გაზ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ნში მოსკოვში და „ზარია ვოსტოკა"-ში ტფილისში და, აბის გარდა, სათანადო შემთხვევაში (მუხ. 2)—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის ორგანოებში.

10. სააქციონერო საზოგადოების წესდება, რომელიც დამტკიცებულია ა/კსფსრ ორგანოს მიერ, საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ, გამოქვეყნდება ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა კრებულის მეორე განყოფიბაში, ხოლო სააქციონერო საზოგადოების წესდება, რომელიც დამტკიცებულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ორგანოს მიერ, გამოქვეყნდება სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა კრებულის მეორე განყოფილებაში.

11. უკვე მომქმედი სააქციონერო საზოგადოების წესდება, არა უგვიანეს 1928 წლის აპრილის 1-სა, შეცვლილ უნდა იქნეს ამა დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ და შეეთანხმოს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ დებულებას სააქციონერო საზოგადოებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. სააქციონერო საზოგადოების წესდების ესა თუ ის ნორმა რაც კი სააქციონერო საზოგადოებათა დებულებას ეწინააღმდეგება, ძალადაკარგულად ჩაითვლება და მის ნაცვლად შეფარდებულ იქნება აღნიშნული დებულების სათანადო ნორმა.

II

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ნოემბრის 9-ს დადგენილება—სააქციონერო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცებისა და თვით საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-11 №-რი, მუხ. 545) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. იანვრის 16. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 34 (1700) №-ში 1928 წ. თებერვლის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

38. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საავეტერინარო საქმის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. თებერვლის 6. ტფილისი-სასახლე.

დეგულება ა/კსფსრ კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სავეტერინარო საქმის კომიტეტის შესახებ.

1. საერთო მეთვალყურეობისა და სავეტერინარო-სასანიტარო ღონისძიებათა შეთანხმებისათვის, აგრეთვე ა/კსფსრ ტერიტორიაზე ეპიზოოტიების საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება ამიერკავკასიის სავეტერინარო საქმის კომიტეტი.

2. ამიერკავკასიის სავეტერინარო საქმის კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) შეიმუშაოს და შეათანხმოს გეგმები, ფინანსიური და ტეხნიკური კონტროლი გაუწიოს სავეტერინარო-სასანიტარო ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც მიმართულ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად;

ბ) შეიმუშაოს გეგმები დაცვისა და კარანტინის ზოლების მოსაწყობად;

გ) შეათანხმოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს ზორის მომთაბარე საქონლის სავლელი გზები და დააწესოს სავეტერინარო სასინჯი პუნქტები;

დ) შეადგინოს პროექტები ა/კსფსრ საძოვრებზე გასასვლელი და შემოსასვლელი პუნქტებისა ცხოველთა გასაშვებად და ცხოველთა პროდუქტების გასატანად;

ე) წარადგინოს ა/კსფსრ მთავრობის უმაღლეს ორგანოებში პერიოდული მოხსენებები ეპიზოოტიების წინააღმდეგ საბრძოლველად წარმოებული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და წარადგინოს ფინანსიურ ღონისძიებათა პროექტები ამ ბრძოლისათვის;

ვ) მიაწოდოს სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სავეტერინარო საქმის კომიტეტს პერიოდული ინფორმაცია ა/კსფსრ-ში ეპიზოოტიის მოძრაობის შესახებ და, საერთოდ, ამიერკავკასიის კომიტეტის მიერ სავეტერინარო საქმის გამო მიღებულ ღონისძიებათა შესახებ;

ზ) მონაწილეობა მიიღოს საუწყებათაშორისო თათბირებში უცხო სახელმწიფოებთან სავეტერინარო-სასანიტარო შეთანხმებათა მომზადებისათვის.

3. კომიტეტის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისრები, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, სამხედრო უწყებისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის პასუხის მგებელი წარმომადგენელნი.

შენიშვნა. კომიტეტის თავმჯდომარეს დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო კომიტეტის წევრებს—დაწესებულებათა წარმომადგენლებს—დაასახელებენ სათანადო დაწესებულებანი და დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. კომიტეტს ჰმეთაურობს პრეზიდიუმი თავმჯდომარისა და ორი მისი მოადგილის შედგენილობით; თავმჯდომარის მოადგილეთ დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო კომიტეტის წევრთა შედგენილობიდან.

5. იმ უწყებათა წარმომადგენელნი, რომელნიც კომიტეტის შედგენილობაში არ შედიან, მიიწვევიან კომიტეტში მუშაობისათვის სათათბირო ხმის უფლებით, იმეთი საკითხების გამო, რითაც უწყებანი დაინტერესებულ არიან.

6. საკითხები კომიტეტში და მის პრეზიდიუმში გადასწყდება ხმათა მარტივი უმეტესობით.

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კომიტეტი თავის ღონისძიებებს განახორციელებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მეშვეობით.

8. კომიტეტის მუდმივი შტატი შესდგება: 1) კომიტეტის თავმჯდომარისა, 2) მდივნისა და 3) მანქანით გადაწერი-საქმისმწარმოებლისაგან.

კომიტეტს ტეხნიკურ მომსახურეობას გაუწევს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს აპარატი.

9. კომიტეტს უფლება აქვს იქონიოს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და თავის სახელწოდებით.

10. კომიტეტი დაარსდება ორი წლის ვადით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 35 (1701) №-ში 1928 წ. თებერვლის 11-ს.

დადგენილება № 4 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. იანვრის 9.

39. სსრკ შორეული ადგილების ნუსხის შეცვლისა და დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. დეკემბრის 3-ს თარიღისა და 383 №-ის დადგენილება „სსრკ შორეული ადგილების ნუსხის შეცვლისა და დამატების შესახებ“

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

საერთო-საორგანიზაციო განყ. გამგე **ულინსკაია.**

დადგენილება № 383 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. დეკემბრის 3.

სსრკ შორეული ადგილების ნუსხის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ შორეული ადგილების სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეების შეღავათების შესახებ“ 1927 წ. მაისის 11-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 25 №-რი, მუხ. 270) მე-2 მუხლის თანახმად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სრულიად-საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

I. გადატანილ იქნეს თურქმენის მაზრის ქალ. აშხაბადი და ყაზაკის ავტონომიური სსრ-სა, ურალის გუბერნიისა და გურიევის მაზრის ემბენის რაიონი შორეულ ადგილთა მე-II ზოლიდან I ზოლში.

II. შეტანილ იქნეს ყალმიკის ავტონომიური ოლქის, ყალმიკის ბაზრის დასახლებული ადგილის გამოკლებით, შორეულ ადგილთა მე-II ზოლში.

III. ამა დადგენილების I და II მუხლის შესაბამისად, —სსრკ შრ. სახ. კ-ტის 1927 წ. მაისის 21 თარიღისა და 112 №-რის დადგენილებით („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1923 წ. 21 №-რი) დამტკიცებულ „სსრკ შორეული ადგილების ნუსხა“-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1) I ზოლში: ა) I-ლ კარში სიტყვების („ყარა-ყალპაკის ავტონომიური ოლქის“ შემდეგ შეტანილ იქნეს სიტყვები ურალის გუბერნიისა, გურიევის მაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ემბენის რაიონი"; ბ) მე-3 კარში ამოშლილ იქნეს სიტყვები: „ქალ. აშხაბადის (ყოფ. პოლტარაცკ) გამოკლებით":

2) მე-II ხოლში: ა) I-ლი კარის I-ლ ნაწილს დაემატოს სიტყვები: „ყალმიკის ავტონომიური ოლქი, ყალმიკის ბაზრის დასახლებული ადგილის გამოკლებით"; ბ) ამოიშალოს მე-4 კარი.

IV. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

შეთანხმებულია: სსრკ ფინ. სახ. კომისრის მოადგილე **კუზნეცოვი.**

სრულიად საკავშ. პროფეს. კავშირთა ცენტრ. საბჭო **შულნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.-"ს 35 (1701) №-ში 1928 წ. თებერვლის 11-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოსი.

40. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხლის მე 4 შენიშვნის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭოს ადგენენ:

1. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ს დებულების მე 11 მუხლის მე-4 შენიშვნა (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** უკეთუ საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოთხოვნით, გამოყოფილ იქნა სპეციალური განყოფილება, ნაწილი ან საქმისმწარმოებელი, რომელიც მარტოოდენ სამხედრო საქმეს განაგებს, მისი შენახვა მიეკუთვნება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვას".

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წ. ოქტომბ. 1-დან.

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ."-ს 35 (1701) №-ში 1928 წ. თებერვლის 11-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1928 წ. იანვრის 30. № 1.

41. ჭიათურის სადგურიდან „საქართველოს შავიქვის" სააქციო საზოგადოების საწყობებთან ვაგონების მიყენებისათვის დაწესებული ა/კ. რკ. გზ. 78 (04)-ის ადგილობრივი ტარიფის ყოველ-გვარი ტვირთის (გარდა შავიქვისა) დატვირთვისა და გადატვირთვაზე გავრცელების შესახებ, აგრეთვე შავიქვის ტვირთზედაც.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1927 წ. ოქტომბრის 12-ს (ჟურნ. № 7) დადგენილებით—ჭიათურის სად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიდან „საქართველოს შავიქვის“ სააქციო საზოგადოების საწყობებთან ყოველგვარი ტვირთის (შავიქვის გარდა) დასატვირთავად და გადასატვირთავად ვაგონების მიყენებისათვის დაწესებული ა/კ. რკ. გზ. 78 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფი, რაც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 1607 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 21-ს და ტარიფთა კრებულის 448 №-ში 47 №-რის ტარიფად, — ამა დადგენილებით გავრცელდება აგრეთვე შავიქვის ტვირთის დასატვირთავად და გადმოსატვირთავად ვაგონების მიყენებაზე ამ ტარიფში აღნიშნული ფანაკვეთების მიხედვით, უკეთუ ჭიათურის სადგურზე იქნება თავისუფალი საშავიქვაო ვაგონები.

ტარიფი ესე დაწესდება 6 თვის ვადით და სამოქმედოდ შემოიღება 30 დღის გასვლის შემდეგ ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათა-
შორისო სატარიფო თათბ. თავმჯდ. მოადგილე **ლევაშევი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველის თან. აღმ., უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 35 (1701) №-ში 1928 წ. თებერვლის 11-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წ. იანვრის 30. № 1.

12. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საჭიროებისათვის ვაგონობით გადასაზიდი ქვიშის დამატებითი გამოსაღების შესახებ.

სადგურ აგარიდან (სავაჭრო ოპერაციებისათვის გახსნილი ასაკცევი) ტფილისის სადგურამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამშენებლო სამუშაოთათვის საჭირო ქვიშის (38 ჯგუფი, 27 პოზ.) გადაზიდვისათვის საასაწონო გამოსაღები გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

ტარიფი ესე დაწესებულია 6 თვის ვადით და სამოქმედოდ შემოიღება 7 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან; ამასთანავე, ამ ტარიფის შეფარდებისათვის საჭიროა წარდგენილ იქნეს დანიშნულების სადგურზე საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწმობა, იმის დასამტკიცებლად, რომ უწყებული ტვირთი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამშენებლო სამუშაოთათვის არის დანიშნული.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშ.
სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ლევაშევი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველი, უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 38 (1704) N-ში 1928 წ. თებერვლის 15-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 895. დაიბეჭდა 1.000.